# შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№47 (9.563)

14 დეკემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


# პირველქმნილი ბუნება და ადამიანური ცოდვა

საქართველოს ერთ-ერთ ეროვნულ საგანძურს ისტორიულ ძეგლებთან ერთად ქართული ბუნება წარმოადგენს, ბუნება, რომელიც პირვანდელი, ველური სახითაა შემონახული და ფლორისა და ფაუნის ენდემურ ჯიშებთან ერთად მნახველთა გაოცებას იწვევს. ასეთი ადგილია ვაშლოვანის ნაკრძალი, სადაც ნახევრადუდაბნოს კლიმატს და ყვითელ თიხანიადაგიან ულამაზეს კლდეებს - ალესილებს ბუნებრივად ერწყმის ჭალის ტყისა და არიდული მეჩხერი ტყის საოცარი ნაზავი. ვაშლოვანის ნაკრძალისკენ მიმავალს გზად ჭალისთვის დამახასიათებელი დიდრონი ვერხვებისა და ასწლოვანი გრძელყუნწა მუხების გვერდით საკმლისა და ღვიის ხეებს შეხვდებით. ორი ეკოსისტემის ერთმანეთში შერევა ბიომრავალფეროვნების წარმომადგენელთა საოცარ სიმრავლეს განაპირობებს.

ულამაზესია ვაშლოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის პირველი თვეა, შემოდგომის ფერთა სიმრავლე ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია. ჩვენ ორგანიზატორებთან ერთად იმ ადგილისკენ მივემართეთ, სადაც ქურციკის აღდგენის პროექტი ხორციელდება. ამ ადგილს ბუღამოედანს უწოდებენ. ჩვენი მისვლის დღეს ნისლი ებურა მთებს და მზე ნაკლებად ანათებდა მათ, ამიტომ ალესილები მთელი თავისი ბრწყინვალებით ვერ წარმოგვიდგნენ.

სამაგიეროდ კარგად ჩანდნენ ქურციკები, რომლებიც ადამიანების მიახლოებამ დააფრთხო და ჩვენგან შორს მოისურვეს გაქცევა, თუმცა ვოლიერის კედლებს ვერსად გაექცნენ... შარშან თურქულმა მხარემ საქართველოს საჩუქრად 10 ჯეირანი გადმოსცა. ამ ადგილას მოეწყო ვოლიერი, სადაც ქურციკების აკლიმატიზაციისა და მათი შემდგომი გამრავლებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი, თუმცა, ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მათთვის უნდა მოევლოთ. ისინი ვაგონური სისტემის სადგურში ცხოვრობდნენ, სადაც წყალიც კი იყინებოდა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის (GIZ) და FFI-ის დაფინანსებით მრავალფუნქციური სადგური აშენდა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. სადგურის გახსნას ბუნების დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი შონვაძე, გარემოს დაცვის სამინისტროს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი ესწრებოდნენ.

ე.წ. „წითელი ლენტის“ გაჭრის ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიხსნა შამპანური და ქართული წესით დაილია ჯეირნის აღდგენის პროექტის წარმატებით განხორციელების სადღეგრძელო. ქართველებთან ერთად ეს სადღეგრძელო უცხოელმა სტუმარმაც დალია.

„ქურციკი საქართველოში ისტორიულად ივრის ზეგანზე ბინადრობდა. მისი პოპულაციის საზღვრები თბილისის მიდამოებიდან ელდრის დაბლობისა და ბუღამოედნის ტერიტორიამდე ვრცელდებოდა. მისი გაქრობის ძირითადი მიზეზი ადამიანის მიერ მისი საცხოვრებელი ადგილის (ჰაბიტატის) ათვისებას უკავშირდება. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქურციკი ბუღამოედნისა და ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გვხვდებოდა, სადაც ისინი მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან გადმოდიოდნენ. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჯეირანი სრულად მოისპო საქართველოში, ამიტომ მაშინდელი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის ხელმძღვანელობამ მოინდომა ამ ცხოველის აღდგენა ვაშლოვანის ნაკრძალში. ამ მიზნით უზბეკეთიდან (ბუხარის საჯეირნე პიტომნიკიდან) შემოყვანილი იქნა 14 ქურციკი. შემოყვანიდან პირველივე წელს მათი გამრავლებაც მოხერხდა, მაგრამ ქვეყანაში სოციალურ -ეკონომიკურმა კრიზისმა ნულამდე დაიყვანა აღნიშნული პროექტის დაფინანსება და შედეგმაც არ დააყოვნა, ქურციკები დაიხოცნენ. მხოლოდ ახლა, ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხერხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ძალისხმევით

(გაგრძელება გვ. 3)

## ბოშების ბოიკოტი არჩევნებს!...

გვ.5

## სოფელ ფიროსმანს სათბობი შეშის პრობლემა მოეხსნა

გვ. 3


გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

*2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.*

*„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.*

**გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.**



მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2013 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 20 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

***იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!***


C M Y K

## ირაკლი ღარიბაშვილი – კრიმინოგენური ვითარება კონტროლირებადია

ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სრულად კონტროლირებადია, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ამ მხრივ ქვეყანაში ვითარება გართულდა ხელისუფლების გადაბარების პროცესში, რადგან კრიმინალებმა გარდამავალი პერიოდით ისარგებლეს.

„ჩვენ სამინისტროში არჩევნებიდან მალევე ვერ შევედით და ამ პერიოდში პოლიცია იყო სრულად დემორალიზებული. ისინი დანაშაულზე არ რეაგირებდნენ, რითაც კრიმინალებმა ისარგებლეს და წვრილმანი დანაშაულის რიცხვმა მოიმატა. თუმცა ჩვენ დავიწყეთ პოლიციის რეორგანიზაცია, შევცვალეთ ყველა სამხარეოს უფროსი და პოლიციის უფროსები. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე სიტუაცია სტაბილურია, კრიმინალის რიცხვი მცირდება, დანაშაულის გახსნის სტატისტიკა კი მატულობს. შესაბამისად, დღეს პოლიციის მუშაობით კმაყოფილი ვართ“, - აღიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრმა კომენტარი ბოლო დროინდელ დაკავებებთან დაკავშირებითაც გააკეთა. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ხელისუფლების ოპონენტები ამ დაკავებების პოლიტიკურ მოტივაციაზე საუბრობენ.

„ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით, რადგან მაქსიმალურად ფრთხილად ვეკიდებით თითოეული ადამიანის ბედს და ვიცავთ სამართლიანობის პრინციპებს. ჩვენ გვაქვს მყარი არგუმენტები და მტკიცებულებები თითოეულ საქმესთან დაკავშირებით და მზად ვართ ისინი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მივაწოდოთ“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ნოდარ ხადური – თელავის თვითმმართველობამ სახსრები გადახარჯა

თელავის თვითმმართველობამ სახსრები გადახარჯა, რის გამოც გარკვეული სავალდებულო სამუშაოების შესრულებას ვეღარ ახერხებენ. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, თელავის თვითმმართველობას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი თანხები გამოეყოფა.

„ოთხმა თვითმმართველობამ, მათ შორის თელავმა, წინა პერიოდში გადახარჯა სახსრები და გაუჩნდათ დეფიციტი. ახლა იძულებული გავხდით იმისთვის, რომ ისეთი ვალდებულებები შესრულდეს როგორიცაა საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებისა და მასწავლებელთა ხელფასების უზრუნველყოფა და ა.შ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოვყოთ დამატებითი თანხები“, - განაცხადა ხადურმა.

თელავის თვითმმართველობამ სახსრები გადახარჯა, რის გამოც გარკვეული სავალდებულო სამუშაოების შესრულებას ვეღარ ახერხებენ. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, თელავის თვითმმართველობას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი თანხები გამოეყოფა.

„ოთხმა თვითმმართველობამ, მათ შორის თელავმა, წინა პერიოდში გადახარჯა სახსრები და გაუჩნდათ დეფიციტი. ახლა იძულებული გავხდით იმისთვის, რომ ისეთი ვალდებულებები შესრულდეს როგორიცაა საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებისა და მასწავლებელთა ხელფასების უზრუნველყოფა და ა.შ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოვყოთ დამატებითი თანხები“, - განაცხადა ხადურმა.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორის ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანსიაზე ღია კონკურსი გამოცხადდა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან გახელაძის განცხადებით, განცხადებები 20 დეკემბრის, 18:00 საათამდე მიიღება.

„ევროპის მაუწყებელთა კავშირის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ ერთობლივად დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე წარმოქმნილმა ხარვეზებმა საზოგადოებრივ მაუწყებელში გამოიწვია მართვის კრიზისი. ამის გათვალისწინებით, სამეურვეო საბჭომ დააკმაყოფილა გენერალური დირექტორის გია ჭანტურიას განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“, - აღნიშნა გახელაძემ.

მისივე თქმით, სამეურვეო საბჭო მიიჩნევს, რომ ჭანტურიას ხელმძღვანელობით დაწყებული მაუწყებლის რეფორმირებისა და დამოუკიდებლობის განტკიცების პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

## ახმეტაში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყით დატვირთული სამი ავტომანქანა დააკავეს

პოლიციის თანამშრომლებმა ,ახმეტაში, უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყით დატვირთული სამი ავტომანქანა დააკავეს. ავტომანქანების მძღოლები მიიმალნენ. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარემოს დაცვის სამინისტროში განუცხადეს, საქმე პროკურატურას გადაეცა.

„სავარაუდოდ უკვე იციან ვინ არიან ავტომანქანების მძღოლები, რომლებმაც გაქცევა მოახერხეს. საქმეს პროკურატურა იძიებს,“ - აღნიშნეს სამინისტროში.

## ჯარში პირობები უმჯობესდება

მომავალი წლიდან ქართველი სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობები გაუმჯობესდება. ეს განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გააკეთა: „უახლოეს პერიოდში ქართველ სამხედროებს ექნებათ ახალი სადაზღვევო პაკეტი. ასევე, პრემიერ-მინისტრის უშუალო მითითებით, მომავალი წლიდან ავღანეთში მყოფ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს გაეზრდებათ ხელფასი. ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმისათვის, რომ რეალურად ჩვენ შევუქმნათ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს როგორც სოციალური, ასევე საყოფაცხოვრებო პირობები. რაც მთავარია, მათ უნდა ჰქონდეთ ისეთი ტექნიკა და შეიარაღება, რომ საკუთარი ქვეყნის დაცვა შეძლონ”.

თავდაცვის მინისტრმა გაერთინებული შტაბის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ვაზიანის ბაზის ტერიტორია დაათვალიერა და საჩვენებელ სწავლებას დაესწრო.

## თავდაცვის მინისტრი ვეტერანებს შეხვდა

ჭადრაკის სასახლეში ომის ვეტერანთა სხვადასხვა გაერთიანებების გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწო.

ვეტერანებმა შეღავათების აღდგენის საკითხებსა და მომავალ გეგმებზე ისაუბრეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ომის ვეტერანთა პრობლემების მოგვარებაზე სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებს. მან საქართველოს მთავრობას სპეციალური წინადადებების პაკეტის მომზადება დაავალა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ვეტერანთა ორგანიზაციებმა დაიწყეს თვითორგანიზება. ეს ხელს შეუწყობს რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს მათი წარმომადგენლების ჩართვა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მიერ ინიცირებულ სამთავრობო კომისიაში.

„ქვეყანა ფასობს იმით, თუ როგორ ეპყრობა, როგორ ექცევა და როგორ ინახავს საკუთარ ვეტერანებს. სამწუხაროდ, ამ კუთხით საქართველოს საამაყო არაფერი არ აქვს. თუმცა, საამაყო ვეტერანები გვყავს და ის ადამიანები, ვინც საკუთარი ჯანმრთელობა გაწირეს ქვეყნისთვის, უნდა იყვნენ შესაბამისად დაფასებულნი. ეს სჭირდება ჩვენს მომავალს და ჩვენს ჯარისკაცებს“ - განაცხადა ირაკლი ალასანიამ ვეტერანებთან შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, ვეტერანთა სოციალურ პაკეტსა და ვეტერანთა დეპარტამენტის მოდელის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

## ილია მეოხე - საქართველოს ხელისუფლების ცვლის ხთული პერიოდი აქვს

საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შვედეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღო.

როგორც კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, საქართველოს ახლა ხელისუფლების ცვლის რთული, გარდამავალი პერიოდი აქვს და საპატრიარქო ყველაფერს აკეთებს, რათა ეს პროცესი მშვიდობიანად დასრულდეს.

უწმინდესი დელეგაციის წარმომადგენლებს წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა მოციქულ ვახტანგ გორგასლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ესაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობენ.

შეხვედრაზე პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსმა იაცეკ მიხალოვსკიმ აღნიშნა, რომ პირველად საქართველოში, არის ძლიერი პარლამენტი და ძლიერი ხელისუფლება. მისივე თქმით, საქართველოს სჭირდება რეფორმების გაგრძელება, ევროპისაკენ გზის გაგრძელება, რომელიც დაფუძნებული იქნება ქრისტიანულ სტანდარტებზე; საქართველოს ასევე სჭირდება ღია დიალოგი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ევროგაერთიანებისათვის, ასევე, პირველ რიგში საქართველოსთვის.

## სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის მინისტრებმა მუდმივმოქმედი კომისია შექმნეს

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან გათავისუფლების მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების გადაწყვეტილებით შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობას და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ავადმყოფ მსჯავრდებულთა გათავისუფლების გადაწყვეტილებას მიიღებს.

კომისია ჯანმრთელობის დაცვის და სასჯელაღსრულების სამინისტროების თანამდებობის პირებით იქნება დაკომპლექტებული და მის მუშაობაში სამედიცინო პროფესიული ასოციაციებიდან მოწვეული ექიმ-სპეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

კომისია რეგულარულად შეიკრიბება და გათავისუფლების მოთხოვნით შემოსულ განცხადებებს განიხილავს.

კომისიის დებულება უფლებადამცველებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექიმებთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა.

## კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ თანამდებობა დატოვა

კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა თანამდებობა დატოვა. ვიცეგუბერნატორი 1 იანვრამდე კუთვნილ შვებულებაში გავიდა, რის შემდეგაც ის სამსახურში აღარ დაბრუნდება.

სიბაშვილის თქმით, თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს.

გუბერნატორის პირველი მოადგილის მოვალეობას გიორგი ბოტკოველი ასრულებს. ბოტკოველი გუბერნატორის მოადგილედ მას შემდეგ დაინიშნა, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა კახეთის გუბერნატორის ვაკანტურ თანამდებობაზე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი დანიშნა.

## ყვარლის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დავით ქევხიშვილი დაინიშნა

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად „ქართული ოცნებიდან“ ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის ყოფილი კანდიდატი და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი დაინიშნა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ლომიძემ განუცხადა, ყვარლის გამგებლის თანამდებობაზე ბიურომ 2 კანდიდატი წარადგინა, თუმცა ყვარლის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დავით ქევხიშვილი დაასახელეს.

„20 დეპუტატი გვყავს და ყველა მათგანმა მხარი დავით ქევხიშვილის კანდიდატურას დაუჭირა. მეორე იყო ყვარლის მაცხოვრებელი დავით ტოჩილაშვილი, ის არცერთი პარტიის წევრი არ არის. უახლოეს მომავალში ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე კონურსს გამოვაცხადებთ“, — აღნიშნა ზაზა ლომიძემ.

# პირველქმნილი ბუნება და ადამიანური ცოდვა

(პირველი გვერდიდან)

და თურქი მეგობრების წყალობით 10 ჯეირნის შემოყვანა. ველური ცხოველები აკლიმატიზაციას ძალიან რთულად იტანენ, მაგრამ დღეისათვის ეს სირთულე დაძლეულია. სამომავლოდ კიდევ ვფიქრობთ ქურციკის ახალი პარტიის შემოყვანას ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე. განიხილება, ასევე, მათი ხისტი გაშვების პროექტი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ. ჩვენი მიზანია, ჯეირანი გახდეს ფლაგმანი სახეობა მთელი სემიარიდული ზონის კონსერვაციისთვის“ -ამბობს ასოციაცია „ნაკრესის“ წარმომადგენელი და „ქურციკის (ჯეირნის) აღდგენის პროექტის ერთ -ერთი ავტორი ირაკლი შავგულიძე.

ქურციკების მონახულების შემდეგ კოლხური ხოხბის საშენისკენ მივემართებით. პროექტის ხელმძღვანელი ამირან კოდიაშვილია, ადამიანი, რომელიც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ფანატიკურადაა შეყვარებული ბუნებაზე, დღეს კი მის ერთ -ერთ წარმომადგენელზე - ქართულ ხოხობზე ზრუნვითაა დაკავებული. კოღოთოს ხეობაში მოწყობილია ვოლიერები ხოხბებისთვის და ასევე მცირე ინფრასტრუქტურა ხოხბის მომვლელთათვის.

ამირან კოდიაშვილის განცხადებით, „11 ოჯახია ჩართული ხოხბის გამრავლებაში. თითოეულ მათგანს ჩაუტარდა სპეციალური ინსტრუქტაჟი. ამ პროექტის შედეგად შეიქმნა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული რგოლი, ადგილობრივ მოსახლეობაში ხოხბების მომვლელი ოჯახების მცირე ქსელის და კოღოთოს ხეობაში ხოხბის საშენის სახით. ხოხბის ლაპების გაზრდაში მოსახლეობა გარკვეულ სარგებელს მიიღებს, რაც გაზრდის მოტივაციას არა მარტო პროექტის მონაწილე პირებს შორის, არამედ მათ მეზობლებსა და ახლობლებში, რათა განავითარონ მეხოხბეობა საკუთარ მეურნეობებში“.

ამ წმინდა პრაგმატული მოსაზრებების მიღმა კი ეროვნული საკითხიც წყდება -კოლხური ხოხბის საშენი ცენტრის შექმნა საშუალებას მისცემს პროექტის ორგანიზატორებსა და სპონსორებს, არა მარტო ვაშლოვანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელი შეეწყოს მის გამრავლებას, არამედ აღდგეს კოლხური ხოხობი საქართველოს იმ დაცულ ტერიტორიებზეც, სადაც ის უკვე გამქრალია.

უკვე წლებია, ვაშლოვანის ნაკრძალი დედოფლისწყაროს საზიზიტო ბარათია. პირველქმნილი ბუნების დაცვა პრიორიტეტი მარტო ჩვენთვის კი არა, უცხოელების საქმედაცაა ქცეული. საზღვარგარეთელი ბუნებისდამცველები უამრავ პროექტს აფინანსებენ და ამით კიდევ ერთხელ არაერთგვაროვნად მიგვანიშნებენ, რომ დაცული ტერიტორიების დაცვა არანაკლები ეროვნული საქმეა, ვიდრე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის. მართალიცაა, რადგან, როცა საზღვარგარეთელი ტურისტი საქართველოში ჩამოდის ინტერნეტის საშუალებით მოძიებული ბუნების ძეგლის სანახავად, ის პარალელურად იძენს ცოდნას მთელი ქვეყნის შესახებ, ჩვენი საამაყო წარსულისა თუ ტრადიციების თაობაზე. მისი შთაბეჭდილებები კი გადამდებია და, აქედან გამომდინარე, ბევრ ადამიანში ინტერესის აღმძვრელიც, რაც თავის მხრივ ტურისტების მოზიდვის ერთ -ერთი წინაპირობაა. ტურიზმის განვითარებასა და ფულადი სარგებლის მიღებაზე მაღლა კი დგას საკითხი, რომ ადამიანურმა ცოდვამარ გააჩანაგოს ის საოცარი განძი, რომელიც დიდმა ნიკო კეცხოველმა დააარსა და ბუნებისმოყვარულმა ადამიანებმა შემოგვინახეს.

ინგა შიოლაშვილი

# სოფელ ფიროსმანს სათბობი შეშის პრობლემა მოეხსნა

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მოსახლეობას დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი და გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი შეხვდნენ და მათი პრობლემები ადგილზე მოისმინეს.***

როგორც ცნობილია, ადგილობრივებმა სათბობი შეშის პრობლემისა და ტყეკაფის არარსებობის გამო გამგებლის სახელზე მიმართვა გაავრცელეს და დახმარება ითხოვეს. პრობლემის შესახებ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებიც საუბრობდნენ.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სოფლის შეშით მომარაგების პრობლემა ამ დროისთვის უკვე მოხსნილია.

„მოსახლეობამ სხვადასხვა ტერიტორიებიდან უკვე გამოიტანა ზამთრისთვის შეშა, პროცესი პირადად გავაკონტროლე და შემიძლია ვთქვა, რომ ამ სოფელში ამ დროისთვის მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის პრობლემა აღარ არსებობს. რაც მთავარია, ადგილობრივების შეშით მომარაგება უსასყიდლოდ მოხდა, მათ მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯები გაწიეს. უახლოეს დღეებში ეს პრობლემა საბათლოსა და სამთაწყაროშიც მოგვარდება,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ლევან ნატროშვილმა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით პრეზიდენტმა რეგიონებში მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფისთვის თანხის გამოყოფაზე უარი თქვა. გასულ წლებში რაიონებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 40 000 ლარი ირიცხებოდა, თანხას რაიონული ბიუჯეტებიდან კიდევ 20 000 ლარი ემატებოდა.

2011 წელს ამ პროგრამით დედოფლისწყაროში 400-ზე მეტი ოჯახის შეშით უზრუნველყოფა განხორციელდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# თვითმმართველობაში მოქალაქეთა მიღება ყოველდღე იწარმოებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოსახლეობის მიღების დღე გააუქმა. ირაკლი შიოლაშვილი მოსახლეობას ყოველდღიურად მიიღებს.

როგორც გამგებელმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ცვლილების მიზანი დამატებითი ბარიერების მოხსნა იყო:

„გადავწყვიტე, რომ ადგილობრივებს ყოველდღიურად შევხვდე. თუკი ადგილზე ვარ, რატომ არ უნდა მივიღო მოქალაქე და მიღების დღეს რატომ უცადოს, ასე უფრო მოქნილი სისტემა იქნება,“ — მიიჩნევს შიოლაშვილი.

დედოფლისწყაროელებს ყოველდღიურად მიიღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილიც.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თვითმმართველობის ორგანოში ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრის მსურველთა რიცხვი გაზრდილია.

ილია მარტყოფლიშვილი

# ბაზარი – მისი ყოველდღიურობა

ალბათ არ არსებობს ადამიანი, ვინც ყოველდღიურად თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც ბაზარში ოჯახისთვის პროდუქტი არ შეიძინოს. ვიყიდით სასურველ პროდუქტს და სასწრაფოდ ვტოვებთ იმ ხმაურიან გარემოს. ხმაურიანი იმიტომ, რომ ბაზარი მუდამ ქაოსთან და ხალხმრავლობასთან ასოცირდება. ასე ცხოვრობენ აქ, ვინ ვის გულისტკივილს ანდობს, ვინ ვაჭრობს, ვინ ვიღაცას ეჩხუბება, ვინ იცინის, ვინ კი, არამომგებიანი დღისთვის მოწყენილი ზის თავის დახლთან და თავის ფიქრებშია. თითოეული ჩვენგანი გვერდს ავუქცევთ ამ ყოველივეს და გავცდებით, ჩვენი პრობლემებით დატვირთულებს ნაკლებად თუ გვაღელვებს და ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენი შრომის, ჯაფის, ჯანმრთელობის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირ შემთხვევაში მორიდების ფასადაც კი უჯდებათ იქ ჯდომა. ვინ იცის, თითოეული იქ მომუშავის გულში რა ხდება, კარგი ქართული გამონათქვამია- - „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო!“- სწორედ ამ ადამიანებზეა ნათქვამი და მართლაც, თუ არა ძალიან დიდი გასაჭირი, დარწმუნებული ვარ, არცერთი ადამიანი არ აირჩევდა ასეთ უმძიმეს პირობებში მუშაობას. არადა, თითოეული მათგანის მიღმა ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იმალება, ადამიანი, რომელიც თავისწილ სიხარულსა თუ მწუხარებას დაატარებს. ერთ წუთს ვიფიქრებთ, ნეტა რა ძალა აძლებინებ, რა შემართება აქვთ ამ ადამიანებს, რომ სიცხესა თუ სიცივეში ღია ცის ქვეშ დგომას უძლებენ. ჰოდა, ერთხელაც გადავწყვიტე, არა ვინმე გამოჩენილ ადამიანზე, ღირსების ორდერის მფლობელზე ან ვინმე დამსახურებულ მუშაკზე, არამედ უბრალოდ, ბაზრის გამყიდველ ადამიანზე დამეწერა. მათ ცხოვრებას გავცნობოდი, მათი საწუხარი გამეზიარებინა.

მისი ყოველი დილა საკუთარი სახლიდან დედოფლისწყაროს ბაზარამდე მიმავალი გზის გავლით იწყება. არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა განწყობაზე, თავს ვალდებულად თვლის, რომ ყოველ მყიდველს ზრდილობიანად გაუღიმოს, თითოეული პროდუქტის ფასი სწრაფად უპასუხოს და შემდეგ, თუკი, ბედი გაუღიმებს და მის დახლზე დალაგებულ ათასნაირ ბოსტნეულს ვინმე ხელს წაატანს, თავაზიანად აუწონოს. ასეთია ქალბატონი ნათელა ლიქოკელის ყოველდღიური ყოფა. ზამთარსა და ზაფხულში სიცივესა თუ სიცხეში, ქარსა თუ წვიმაში, ყინვასა თუ სუსხში, დგას ღია ცის ქვეშ დილიდან- საღამომდე და ბაზრის ცხოვრებით ცხოვრობს. მანამდე კი, იყო ბედნიერი ბავშვობა, ახალგაზრდობა.

- „1954 წლის 25 თებერვალს ახმეტის რაიონის სოფელ ჭართალში დავიბადე, ჩემს მშობლებს ექვსი შვილი ვყავდით და არც ისეთი შეძლებულები იყვნენ, რომ ზედმეტად გავენებივრებინეთ, ღარიბები ვიყავით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ბედნიერი ბავშვობა გვქონოდა. ყველა შვილს ცოდნა და განათლება მოგვცეს, სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამრეწველო ეკონომიური ტექნიკუმი დავამთავრე, ვმუშაობდი მგეგმავ-ეკონომისტის სპეციალობით. ცხოვრების წლებმა სოფელ ჯაფარიძის, ახლა უკვე სოფელ სამრეკლოს მცხოვრებ ადამიანს შემახვედრა, გიორგი ტოკლიკიძვილი, რომელთან ერთადაც ოჯახი შევქმენი და აგერ უკვე 37 წელი ერთად ვეწევით უღელს. დედოფლისწყაროშიც მომიწია ჩემი პროფესიით სამსახური, ვიმუშავე რამდენიმე ორგანიზაციაში, საყოფაცხოვრებოში, შემდეგ შემნახველ სალაროში, მაგრამ ბოლოს, ცხოვრება რომ აირია და საშინელმა გაჭირვებამ დაისადგურა, ოჯახში ისე გაგვიჭირდა, რაიმე რომ არ მელონა, მშივრები დავიხოცებოდით, ვერც მე და ვერც მეუღლემ სამსახური ვერსად ვიშოვეთ, გამოსავალი ბაზარი აღმოჩნდა, ასე გავხდი დედოფლისწყაროს ბაზრის გამყიდველი და აგერ უკვე 25 წელია, ამ დახლთან ვდგავარ.“- ამბობს ქალბატონი ნათელა ლიქოკელი.

***- აქ დგომა საკმაოდ ძნელია, არ გაგიჭირდათ შეგუება?!***

- გამიჭირდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, ახლა სირცხვილის განცდაც გადალახული მაქვს და იმასაც შევეგუე, რომ ბაზარი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. შესაძლოა ბაზრის გამყიდველი ვარ, მაგრამ ჩემი გარჯით ვირჩენ თავს და ამაში სასირცხვილო არაფერია. მშიერ ყოფნას ანდა და სხვისკენ დახმარებისთვის ხელისგაშვერას ნამდვილად აქ დგომა მიჯობს. თავდაპირველად ბაზრის შენობაში ერთერთ დახლთან ვიდექი, საკმაოდ კარგი და შეკრული კოლექტივი ვიყავით, მერე, როცა შიგნით ვაჭრობა აღარ გვქონდა, იძულებულები გავხდით, გარეთ გამოვსულიყავით, მეც გამოვედი და აქ ვიყინები, რადგან ისე არაფერი გამოდის. ჰოდა წლების მანძილზე ღია ცის ქვეშ ყოფნამ აგერ ჩემს ჯანმრთელობასაც დაასვა დაღი.

**- რას გულისხმობთ?**

- მკერდში ჯირკვლები გამიჩნდა და ჯერ ისიც არ ვიცი ავითვისებიანია თუ კეთილთვისებიანი. გურჯაანში გამოკვლევაზე ვიყავი და თბილისში საოპერაციოდ გამაგზავნეს. თბილისში კი, უსახსრობის გამო ვერ მივდივარ. მთელი დღე აქ მუშაობა მხოლოდ კაპიკებს თუ მაძლევს, ამით მხოლოდ ლუკმას თუ შეჭამ, აქ დგომით საოპეერაციო ფულს ვერანაირად მოვაგროვებ.პოლისიც არ მქონდა აქამდე, ახლა მაქვს, მაგრამ ხომ იცით ადამიანი ყველაზე უკან თავის ჯანმრთელობას აყენებს და ამით ვიღუპავთ თავს.

***- ბაზრის შენობიდან არ უნდა გამოსულიყავით, იქ შედარებით თბილა და უფრო მოხერხებულად იქნებოდით, ამ შარაზე დგომას იქ ყოფნა არ გერჩიათ?!***

- ძალიანაც მერჩია, შვილო, მაგრამ, როცა ხალხს იმაზე მეტად გაუჭირდა, ვიდრე იქამდე იყო, ყველამ ვაჭრობას მიჰყო ხელი, მოგეხსენებათ, ლუკმა-პურის ჭამა და თვითგადარჩენის ინსტიქტი ყველა მოკვდავშია, ჰოდა გაჭირვების გამო, სხვა რაიონებიდანაც კი დაიწყეს ჩვენს ბაზარში მოსვლა, გზის იქით მანქანებით დგებოდნენ, ყველანაირი პროდუქტი ჰქონდათ, მოქალაქეებიც გარეთ ვაჭრობას არჩევდნენ და შიგნით აღარავინ შემოდიოდა, მით უმეტეს, რომ იცოდნენ, შენობაში ანტისანიტარია იყო, აღარავის უნდოდა იქ შემოხედვა. ჩვენ პროდუქტი გვილპებოდა, გარეთ ვაჭრობა მიდიოდა, არანაირად არ მინდოდა სიცივეში გამოსვლა, მაგრამ რომ შევატყეთ, ისე არაფერი გამოდიოდა და ადგილობრივებიც, იძულებული გავხდით რომ ჩვენც გარეთ გამოვსულიყავით. ასე გავხდით თითქმის ყველა აქ მდგომი ქალი, თუ კაცი სიცივისა და სიცხის მსხვერპლები. ახლაც ასეა, აგერ გზის იქით უცხო რაიონის ხალხი მანქანებით დგანან, სადაც თურმე გადასახადსაც არ იხდიან და მშვენივრად ვაჭრობენ, ჩვენ კი ვდგავართ გულხელდაკრეფილები. ვფიქრობ ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს და უპირატესობა ჩვენ, ადგილობრივებს უნდა მოგვენიჭოს.

**- რაც შეეხება პროდუქტს, საიდან მოგაქვთ, საიდან მარაგდებით?!**

- თბილისიდანაც მოგვაქვს, ლაგოდეხიდანაც, ზოგჯერ ადგილზე მოტანილსაც ვიღებთ ერთბაშად.მაგრამ რად გინდა, ხალხს ფული არა აქვს, ამიტომ ვაჭრობა ნაკლებადაა. კაპიკებსღა ვაკეთებთ.

**- ახალი წელი მოდის, ხალხი ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადება და თავის დანაზოგსაც ძირითადად მაშინ დახარჯავს, ასე, რომ ვაჭრობა ცოტა გამოცოცხლდება ამ დღეებში და სარგებელიც იქნება!**

- ახალი წლისთვის ვაჭრობა ნამდვილად არის, მაგრამ, რაც მეტია მოთხოვნა პროდუქტზე, მით მეტი გადამყიდველი მოდის და ბოლოს ისე გამოდის, რომ არაა გამორიცხული, საქონელი ახალი წლის შემდეგ უქმე დღეებში დაგვრჩეს და გაგვიფუჭდეს. ასეთია ჩვენი ბიზნესი, ამიტომ 31 დეკემბერს, ღამე გვიანობამდეც ვმდგარვართ მე და ჩემი მეუღლე, რომ რაიმე სარგებელი გვენახა და პროდუქტი არ ჩაგვწოლოდა.

**- 31 დეკემბერს თუ აქ დგახართ, საინტერესოა, როგორი იქნება თქვენი ახალი წელი?!**

- უღიმღამო და სავსებით მოუმზადებელი, აბა წარმოიდგინეთ 31- ში გვიან ღამით რომ მივა ქალი სახლში, დაღლილ დაქანცულს რიღას გაკეთების თავი მექნება, ერთ რაიმე ნუგბარს და საჭმელს სახელდახელოდ გავაკეთებთ, რომ მშივრები არ დავრჩეთ და ვიძინებთ, დილით ახალი წელია, მაგრამ ჩვენთვის ყოველი დღე ერთმანეთის მსგავსია, ახალი წელიც ძველი წელის მსგავსად გრძელდება.ერთ დღეში ისევ ბაზარში გამოვდივართ.

**- შვილებზე ან შვილიშვილებზე რას გვეტყვი?**

- ერთი ქალიშვილი მყავს, სახელად ემა, ის რუსთავში ცხოვრობს თავის ქმართან და ერთ ვაჟთან ერთად. მოუცლელობის გამო, იშვიათად ჩავდივარ და ვკითხულობ, უმეტესად ისინი მოდიან.

**- როგორია თქვენი დამოკიდებულება მოქალაქეების მიმართ?!**

- რა თქმა უნდა კარგი, მუდმივად ვცდილობ, ყველა ჩემს კლიენტს სიკეთე ვუსურვო და კმაყოფილი გავაგზავნო. ვცდილობ მათ დრო არ ნავართვა და სწრაფად მივაწოდო ის პროდუქტი, რომელიც სურს, გულისხმიერი ვარ, ადამიანური გაგებაც შემიძლია და გასაჭირში მყოფი ადამიანის მდგომარეობაშიც ხშირად შევსულვარ. თუკი ადამიანი პასუხისმგებლიანია და იმ წუთას თანხა არა აქვს, დაცდაც შემიძლია. ზოგიერთი ისეთი კლიენტი მოვა და დაგელაპარაკება წამლად დაგეგდება, მაგრამ ხშირად ისეთებიც მოსულან, რომ მორალურად გაუნადგურებივარ, პანჩურით რომ მოვა და თავს დაგამეტებს, იმისთვის რომ შენ ბაზარში დგახარ და მას ძვირფასი კაბა აცვია, ეს ძალიან მიკლავს გულს, ადამიანი სადაც არ უნდა მუშაობდეს, მთავარია მშრომელი იყოს და ადამიანური, ყველაზე დიდი ადამიანობა სწორედ ეგაა, რომ პიროვნების ამოსარჩევად არ უნდა ირჩეოდეს სამსახურებრივი მანტია, მერე რა თუ ვინმე დღეს მოსამსახურეა და მე გამყიდველი?! მაგრამ მიუხედავად ამისა, ისე მივეჩვიე გარშემომყოფ ქალებს, რომ ყოველ დილა ერთი სული მაქვს, სანამ ჩემს გოგოებს დავინახავ. აქ ყველამ ვიცით ერთმანეთის ტკივილიც და სიხარულიც და ეს ურთიერთგაგება, ერთმანეთის გატანა ბევრს მატანინებს.

ვტოვებ ქალბატონ ნათელა ლიქოკელს თავისი ტკივილით, თავისი საწუხარით, თავისი სიხარულით თუ შემართებით. ჩვენს შემდეგ კვლავ მყიდველი ესტუმრება, იქნებ თავაზიანი, იქნებ უკმეხიც, მერე გვერდით მჯდომ ქალებთან საუბარშიც გაერთობა და თონიდან გამოგზავნილ ვედროში ნაკვერჩხალსაც მიეფიცხება, ცოტა ხნით ფეხებს მაინც გაითბობს. მერე დაღამდება და სოფელ სამრეკლოში საკუთარი სახლისაკენ გაეშურება. ასე ჩაივლის მისთვის მორიგი ერთი დღე, შემდეგ ახალი წელიც მოვა, მაგრამ უღიმღამოდ და ნაკლებად ხალისიანად. მეორე დღიდანვე თითქმის იგივე გამეორდება- ბაზარი და მისი კლიენტები. ასეთია მისი ცხოვრება, როგორც თავადვე ამბობს ბაზარი მისი ყოველდღიურობაა, ცივი, მაგრამ საინტერესო. გამოჯანმრთელებას, სულიერ სიმხნევეს და ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებთ მას და ყველა მასავით მომუშავე ბაზრის გამყიდველს, რადგან ისინი მხოლოდ რკინის ქალები როდი არიან, ყველა მათგანის მიღმა პაქიზი სულის ადამიანი იმალება.

ლალი მეხრიშვილი

# „მოლი“ დედოფლისწყაროში ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავს

11 დეკემბერს აგრარული და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მოლი“-ს მიერ კახეთის რეგიონში განხორციელებადი პროექტის - „საბაზრო შესაძლებლობები საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად“- ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შორის. პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ ალექსანდრე ღოღობერიძემ და პარტნიორი ორგანიზაცია - „სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და განვითარების ცენტრის“ წარმომადგენელმა ნინო ლოლაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს სამუშაო შეხვედრების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტები და მოისმინეს ადგილობრივების მოსაზრებები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტისთვის შესარჩევი საკითხების შესაძლო ვარიანტების შესახებ.

ყველაზე აქტუალური აღმოჩნდა საძოვრების, ვეტერინარიის და მექანიზაციის თემა. კონკრეტულად, ითქვა, რომ სოფლებში საჭიროა კვალიფიციური ვეტერინარები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - მექანიზაციის ცენტრიდან მოცილებული სოფლებისთვის, ასევე, ვეტლაბორატორია - დაავადებათა დროულად გამოვლენისა და სათანადო ვაქცინაციისთვის .

ფერმერებმა ისაუბრეს კერძო საკუთრების (მიწის) დაცვის მექანიზმებსა და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე. ბოლოს, მხარეები შეჯერდნენ,რომ არსებულ პრობლემებს განიხილავდნენ შესაბამის უწყებებთან, სპეციალისტებთან და გაარკვევდნენ, რამდენად აისახება ეს საკითხები ახალი ხელისუფლების სახელმწიფო პრიორიტეტებში და სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდის პროგრამაში, რომლის ამოქმედებასაც მთავრობა გაზაფხულიდან აპირებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით.

# ბოშების ბოიკოტი არჩევნებს!...

## დანაშაული თუ დახმარების მცდელობა?

კახეთის ბოშათა გაერთიანება „რომა“-ს ხელმძღვანელი ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილი მის სოფელში მცხოვრებ ერთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად სიღნაღის პროკურატურამ მოწმის სახით დაკითხვაზე დაიბარა. პროცესს გაზეთი „შირაქი“ ექსკლუზიურად შეესწრო.

გაერთიანება „რომა“-ს ხელმძღვანელი ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტია და პროკურატურა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს მის მიერ დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის ერთ-ერთ უბანზე დაფიქსირებული დარღვევებით დაინტერესდა. გამოძიებას ამავე შინაარსის კითხვები ჰქონდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთში მცხოვრებ ბოშებთანაც, რომლებმაც ქართულ ენაზე წერა-კითხვა არ იციან. ქვეყნის მასშტაბით, სოფელ ჭოეთში ყველაზე მეტი ბოშა ოჯახი ცხოვრობს.

ცნობისათვის, ქალბატონი ვენერა სახალხო დამცველის აპარატში, უმცირესობების საბჭოს წევრია. საყურადღებოა ისიც, რომ კენჭისყრის მიმდინარეობის დროს უბანზე მრავლად მყოფი დამკვირვებლებიდან მისი ქმედება არცერთს გაუპროტესტებია და არც საჩივარი დაწერილა. ხმაური მას შემდეგ ატყდა, როცა ვიდეოფირი „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბმა განიხილა.

ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, დედოფლისწყაროს 22-ე საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობაში, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა ისე, რომ მას ამის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონია, რაც ვიდეომასალიდანაც ნათლად ჩანს. მარტყოფლიშვილმა კაბინაში მარტო არ შეუშვა არცერთი ამომრჩეველი, რომელიც სოფელ ჭოეთიდან იყო ჩამოსული. უფრო მეტიც, საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩევლებს, ძირითადად ეთნიკურ ბოშებს, რომელთა ნაწილმაც ქართულად წერა-კითხვა არ იცის, პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მათ ვენერა დაეხმარებოდათ. „Подожди, Венера поможет!“ — მიმართა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ამომრჩეველს.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, ამომრჩეველი თვითონ ავსებს ბიულეტენს, თვითონ იღებს სპეციალურ კონვერტს და ათავსებს მასში ბიულეტენს. „მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. თუ აღნიშნული ქალბატონი ამომრჩეველია, ხმის მიცემის შემდეგ კენჭისყრის შენობა უნდა დაეტოვებინა. დარღვეულია ხმის მიცემის ფარულობა და ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე ზეგავლენაა მომხდარი. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს სხვა ამომრჩეველი, მაგრამ ამომრჩეველს უფლება აქვს ერთხელ დაეხმაროს და არა ერთი საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში.

„არჩევნებში ხმის მიცემა არის ფარული. როდესაც ამომრჩეველი კაბინაში სხვა ამომრჩეველს შეჰყვება, ამით კენჭისყრის ფარულობა ირღვევა, მეორეს მხრივ ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ხდება. თუ ასეთი ფაქტი მასშტაბურად ხდებოდა, უბნის შედეგებზე შესაძლოა, გავლენა მოეხდინა, ამიტომ შედეგები უნდა გაბათილდეს“, — ამბობს საარჩევნო საკითხების სპეციალისტი ნინა ხატისკაცი.

დაკითხვის დასრულების შემდეგ გაზეთი „შირაქი“ პროკურატურიდან გამოსულ ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილს გაესაუბრა.

„არჩევნებთან დაკავშირებით ვარ დაბარებული. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ამიტომ დამიბარეს... როგორც იცით, საარჩევნო კაბინასთან ვიდექი და ბოშებს არჩევანის დაფიქსირებაში ვეხმარებოდი. ახლა ჩივიან და ამბობენ, რომ ეს გაყალბება იყო, მაგრამ წინასწარ დაგეგმილი არაფერი მქონია. ხმის მისაცემად რომ მივედი, მთხოვეს, ვენერა, ამათ ვერაფერი გაუგიათ და შენ როგორც მათი უფლებადამცველი დაეხმარეო. მთხოვეს და დავეხმარე. საარჩევნო საკითხებზე თბილისში ტრენინგები რამდენჯერმე გავიარე, თუმცა რა ცოდნაც იქ მივიღე, იმის მიხედვით, არ მეგონა, რომ ბევრი ამომრჩევლის დახმარება კანონდარღვევა იყო.

„მთხოვეს და დავეხმარე. საარჩევნო საკითხებზე თბილისში ტრენინგები რამდენჯერმე გავიარე, თუმცა რა ცოდნაც იქ მივიღე, იმის მიხედვით, არ მეგონა, რომ ბევრი ამომრჩევლის დახმარება კანონდარღვევა იყო“

***– საარჩევნო უბანზე ეს დარღვევა ვიდეოკამერებმაც დააფიქსირეს...***

– კადრები მეც მაჩვენეს. გამომძიებელიც მეკითხებოდა, რას ვკარნახობდი ამომრჩევლებს. ფაქტიურად, არ ვიცოდი, რომ ჩემი საქციელით კანონს ვარღვევდი. დღემდე ასე ვფიქრობ, რომ ეს საქციელი დარღვევა არ იყო და მათ დახმარების ხელი გავუწოდე...

***– ანუ, თუკი წერა-კითხვის უცოდინარი ყველა ამომრჩევლის ბიულეტენი თქვენ შემოხაზეთ, გამოდის, რომ სოფელში ყველას არჩევანი იცით?***

– ასეა, პირადად მე შემოვხაზე მათი ბიულეტენები. არც წერა იციან, არც კითხვა, კაბინაში ვერაფერს გააკეთებდნენ და ამიტომ შევდიოდი... მაგრამ, ვეკითხებოდი, ვისი არჩევა სურდათ და იმის მიხედვით ვაფიქსირებდი არჩევანს.

***– კარგით, მაგრამ ამომრჩეველთა სრული უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის“ შემოხაზვას გთხოვდათ თუ, რაკი ვერ ერკვეოდნენ, როგორც აქტიური „ნაციონალი“ საკუთარი ინიციატივით ზრუნავდით?***

– გეფიცებით, არა!.. ნამდვილად ყველას „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება სურდა და ნომერ 5-ს ამიტომაც ვხაზავდით. სოფელში მხოლოდ ერთი-ორმა მითხრა „ქართული ოცნება“ შემომიხაზეო და, არ მინდოდა, მაგრამ მაინც ოცნება შემოვხაზე. ეს მათი არჩევანია და მე რა უფლება მქონდა... ესენიც ხომ ცოდონი იყვნენ, რომ არ დავხმარებოდი, სხვაგვარად არ შემეძლო. რა გარანტია მაქვს, რომ სხვა დამხმარე რომ მიგვეშვა სამართლიანად დაეხმარებოდა?!...

***– თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ჭოეთს, ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, ამის მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ადგილობრივებს ჭარბი სიმპათიები ჰქონდათ?***

– რატომ არის ჩვენს სოფელში ბევრი პრობლემა? მეც მათთან ერთად ვარ, ბოშური წესით ვცხოვრობ, მეუღლეც ბოშა მყავს. საერთოდ, სოფლის პრობლემა ჩემი პრობლემაცაა. დედოფლისწყაროს გამგეობამ, შეძლებისდაგვარად, წყლის პრობლემაც მოაგვარა, ბოშებს აღარც დენის პრობლემა აწუხებდათ. ახლახან გარე განათებაც კი გაგვიკეთეს. პირადად მე, გამგეობაში რა საკითხზეც მივედი და ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვე, ყველაფერი მოგვარდა. აი ამიტომაც დაუჭირა ჩვენმა სოფელმა მხარი „ნაციონალურ მოძრაობას“. რამდენიმე წლის წინ ბევრი ოჯახი ისე იყო, პირადობის და დაბადების მოწმობებიც კი არ ჰქონდათ. საბუთების არარსებობის გამო სახელმწიფო დახმარებებით და შეღავათებითაც ვერ სარგებლობდნენ. ახლა ასე აღარ არის და ამას გრძნობენ...

არჩევნების დღემდე არ ვიცოდი, რომ ჩვენს სოფელს „ნაციონალური მოძრაობა“ მოსწონდა. ხმები დადის, თითქოს აქტიურ აგიტაციას ვეწეოდი, მაგრამ გეფიცებით, ასეთი არაფერი ყოფილა. წინასაარჩევნო პერიოდში სოფელში არ ვიყავი, თბილისში ვიმყოფებოდი და ნამდვილად არ ვიცი რა პოზიცია იყო მოსახლეობაში. ამისთვის დრო არ მქონდა.

***– იმის ალბათობა ხომ იყო, რომ თქვენს ამ ნაბიჯს აჟიოტაჟი მოჰყვებოდა, თუ არანაირი ინტერესი არ არსებობდა, რატომ აგრძელებდით მათ დახმარებას საათზე მეტ ხანს?***

– ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ბიულეტენზე ჯვარი დასვა, არ იცოდა, არჩევანი როგორ დაეფიქსირებინა და ბიულეტენი ზიანდებოდა. კომისიას მივმართე, რომ მე მათი უფლებადამცველი ვარ და ყველას დავეხმარები-მეთქი. იმსჯელეს და ყველა დამეთანხმა. ამჟამად ჩვენს სოფელში 126 ბოშა ცხოვრობს. ეს აღწერა, შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მამის, ტარიელ ღარიბაშვილის დახმარებით შარშან ჩავატარე, როცა ის ჩვენი სოფლის გამგებელი იყო. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ, აღწერაც ჩავატარეთ და დოკუმენტებიც დავურიგეთ.

„ნაციონალური მოძრაობა“ რატომ უნდა შემომეხაზა, გეფიცებით, არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ბიძინა ივანიშვილთან და მის პოლიტიკასთან. პირიქით, შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი სოფლიდან არის და მივესალმები ამ ამბავს... მისი მამაც, ბატონი ტარიელ ღარიბაშვილიც ჩემთვის იყო საუკეთესო პიროვნება, ხშირად ვთანამშრომლობდით და ვერ ვხვდები, რატომ უნდა მებრძოლა მათ წინააღმდეგ...

***– არასამთავრობო ორგანიზაციები მიანიშნებენ, რომ ამომრჩეველზე ზეწოლას ახდენდით...***

– არავის არ დაუძალებია, რომ სააკაშვილის პარტია შემოეხაზათ. თვითონ ბოშებს უნდოდათ სააკაშვილი და ახლაც ასე არიან. ორი დღის წინაც ბოშები გამოვიდნენ და ყვირილი დაიწყეს, ჩვენ სააკაშვილი გვინდოდაო...

***– სააკაშვილს რატომ ყვიროდნენ, ფიქრობთ, რომ ივანიშვილის კოალიცია უყურადღებოდ დატოვებს თქვენს სოფელს?***

– როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებას ბოშები არ ენდობიან... პრობლემა ისაა, რომ მათში ვერაფერი დაინახეს, თუ მომავალში რამეს გააკეთებენ და მოგვხედავენ, მერე ალბათ ივანიშვილს დაუჭერენ მხარს. მაგრამ, ახლა ყველა მათგანი პროკურატურაში იმდენჯერ დაგვიბარეს, გეფიცებით გამწარებულები არიან ყველანი... დავიღალეთ ამდენი დაკითხვებით... ახლაც, ამ წუთას, ჩემთან ერთად 6 ბოშა დაკითხეს... პროტესტს გამოვთქვამთ და გადავწყვიტეთ, რომ დღეიდან არცერთი ბოშა არჩევნებზე არ მივა! არც მე მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. ყოველ დღე პოლიციაში დავდივართ და გადავწყვიტეთ, არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადოთ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კოალიციამ „არჩევნის თავისუფლებისთვის“ სიღნაღის №13 საარჩევნო ოლქში საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბების და დედოფლისწყაროს რაიონში ხორნაბუჯის საარჩევნო უბანზე გამოვლენილი დარღვევების გამო, პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით რამდენიმე თვის წინ მიმართა.

„დედოფლისწყაროს 22-ე საარჩევნო უბანზე (სოფელი ხორნაბუჯი) მოქალაქე ვენერა მარტყოფლიშვილი ხმის მიცემის პროცესში მუდმივად არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას, ამომრჩევლებს სისტემატურად მიჰყვებოდა ხმის მიცემის კაბინაში და „ეხმარებოდა“ საარჩევნო ბიულეტენში სასურველი ნომრის შემოხაზვაში. ამით ირღვეოდა საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 164 მუხლი. ვინაიდან აღნიშნულმა დარღვევებმა არსებითი გავლენა იქონია ამ ოლქებში მაჟორიტარული არჩევნების შედეგებზე, მივმართავთ პროკურატურას შეისწავლოს აღნიშნული ფაქტები“, — აღნიშნულია კოალიციის განცხადებაში.

ილია მარტყოფლიშვილი

# სტუდენტები სტატუსის აღდგენას ითხოვენ

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტები სტატუსის აღდგენას ითხოვენ. სტუდენტების განცხადებით, სამართალმცოდნეობის სპეციალობას აკრედიტაციის ვადა 2012 წლის სექტემბერში გაუვიდა, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მათ ამის შესახებ 4 დეკემბერს შეატყობინა.

მათივე თქმით, ადმინისტრაციას წინა მთავრობის დროს განათლების სამინისტროსთან ზეპირი შეთანხმება ჰქონდა, რომ სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომლის გაუქმებაც იგეგმება, მილევადი რეჟიმი უპრობლემოდ დასრულდებოდა.

„სამართლის სპეციალობას შეუწყდა აკრედიტაცია და 140-მდე სტუდენტი დავრჩით სტატუსის გარეშე. ამ ყველაფერს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გულგრილად ეკიდება, ერთმანეთთან გვაგზავნიან, დოკუმენტები გამოვითხოვეთ როდის დაიწყო აკრედიტაცია, როდის შეწყდა და პასუხს არ გვაძლევენ. 4 თვეა სტატუსშეწყვეტილები ვსწავლობთ და ამის შესახებ ახლა გავიგეთ," - აღნიშნა სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტმა ნოდარ ეჟიშვილმა.

„სექტემბერიდან ვართ მოტყუებულ მდგომარეობაში, ფულს ვიხდიდით, ლექციებზე დავდიოდით, შუალედური დავწერეთ, მაგრამ შუა სემესტრში აღმოვჩნდით ასეთ გაურკვევლობაში. ამ პრობლემის შესახებ აგვისტოშივე იცოდნენ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა" გაიმარჯვებდა, რომლის წარმომადგენლებიც არიან. ახლა სამინისტრომ მოსთხოვათ ამ ყველაფრის დოკუმენტური დადასტურება და ამბობენ, სამინისტროსთან სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა, რომ მილევადი რეჟიმი უპრობლემოდ დასრულდებოდაო. აკრედიტაციის ცენტრში დავრეკეთ და გვითხრეს, ვიშვიში დაიწყესო, ზუსტად ასე გვითხრეს, გამოგვეპარა, ბოდიშიო," - განუცხადა

კახეთის საინფორმაციო ცენტრს სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტმა ნათია ფიცხელაურმა.

„ჩემი შვილი მეოთხე კურსის სტუდენტია. საშინელ დეპრესიაში ვართ. არვიცი, თუ ასეთი დარღვევა სადმე შეიძლებოდა ყოფილიყო. ბავშვმა უნდა აიღოს ის დიპლომი, რომელზეც მე ხელშეკრულება გავაფორმე. თანხაც გადახდილი მაქვს, სანამ არ გადამახდევინეს თანხა, შუალედურ წერაზე არ დაუშვეს, თუ არ ჰქონდათ აკრედიტაცია გავლილი, თანხას რაში ითხოვდნენ?" - აღნიშნა სტუდენტის მშობელმა ლია წიკლაურმა.

სტუდენტებს, რომლებმაც 11 დეკემბერს, პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტის შესასვლელი გადაკეტეს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დიანა მჭედლიშვილი, რექტორი თინათინ ჯავახიშვილი და მისი მოადგილე დავით მახაშვილი შეხვდნენ და პრობლემის მოგვარებას დაპირდნენ, თუმცა სტუდენტები ცოცხალი ჯაჭვის მოხსნაზე რამდენიმე სათის განმავლობაში უარს აცხადებდნენ. მათი ნაწილი პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს აკისრებს, თუმცა დიანა მჭედლიშვილი ამბობს, რომ როდესაც უნივერსიტეტსა და სამინისტროს შორის შეთანხმება მოხდა, რექტორის მოვალეობას დავით მახაშვილი ასრულებდა.

დავით მახაშვილი ადასტურებს, რომ შეთანხმება მართლაც არსებობდა, რადგან სამართალმცოდნეობის სპეციალობა თელავის უნივერსიტეტში უნდა გაუქმებულიყო და მილევად რეჟიმში იყო გადასული.

„ვაღიარებ, სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებთან დაკავშირებით არასასურველი პროცესები განვითარდა, მაგრამ მოგვარებადია. ნოემბერში დაგვირეკეს და გვითხრეს, აკრედიტაცია შეჩერებულიაო. წინა ხელისუფლების დროს მიდგომა იყო ასეთი, რომ რეგიონებში სამართლის და სამედიცინოს განხრით სტუდენტები არ უნდა მოემზადებინათ. ეს დაიწყო ორი წლის წინ და სამართლის სპეციალობა მილევად რეჟიმში გადავიდა. ჩვენ გვქონდა შეთანხმება, რომ პროცესის დასრულებამდე სტუდენტები, ვინც ამ სპეციალობაზე სწავლობდნენ, სწავლას დაამთავრებდნენ და შემდეგ უკვე სხვა სტუდენტებს აღარ მივიღებდით", — განუცხადა დავით მახაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

უნივერსიტეტის რექტორი სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს დროებით, საჯარო მმართველობის სპეციალობაზე გადასვლას სთავაზობს, თუმცა სტუდენტები უარს აცხადებენ. მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მათი სპეციალობა აკრედიტაციას ვერ გაივლის, ისინი საჯარო მმართველობის სპეციალობაზე დარჩებიან, რისი სურვილიც არ აქვთ.

რექტორის თქმით, ადმინისტრაცია პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს აკეთებს. მან სტუდენტებს მოუწოდა, რომ სასწავლო პროცესისთვის ხელი არ შეეშალათ, თუმცა სტუდენტები არ დაემორჩილნენ.

„ყველაფერს ვაკეთებთ პრობლემის მოსაგვარებლად, მოხსენით პიკეტი, სხვა სტუდენტებს ნუ უშლით ხელს, არ არის სწორი, ქართულად გესაუბრებით მემგონი, ეს არის სხვა სტუდენტების უფლებების დარღვევა," - მიმართა თინათინ ჯავახიშვილმა სტუდენტებს.

რექტორი აცხადებს, რომ სტუდენტებს აქციების ჩასატარებლად მასთან დაპირისპირებული პროფესორები განაწყობენ, მათ შორის ვასილ ხიზანიშვილი. ხიზანიშვილი ბრალდებას უარყოფს.

თელავის უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე განცხადება განათლების და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, ამ საკითხს სამინისტრო სწავლობს: „სანამ ამ საკითხს შევისწავლით, სანახავია რა ვალდებულებები გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ უნივერსიტეტს და სტუდენტებს. ამოსავალი უნდა იყოს ის მომენტი რა ვალდებულებები გააჩნიათ მათ და რა შემთხვევაში შეგვიძლია სამინისტროს მედიატორის როლი ვითამაშოთ", — განაცხადა მინისტრმა.

ნათია დანელიშვილი
/კახეთის საინფორმაციო ცენტრი/

# სოფელ სამრეკლოს ახალი თაობა - საზოგადოების პირისპირ

11 დეკემბერს სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში გაიმართა გასართობ-შემეცნებითი პროექტი „საზოგადოების პირისპირ", რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა საყვარლიშვილი.

პროექტი ემსახურება ახალგაზრდებისათვის იმ უნარების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებასთან ადაპტირებას, მოსწავლეთა მომზადებას ცხოვრების დიდი ასპარეზისთვის.

პროექტი უკვე სამ წელს ითვლის და ამ დროის განმავლობაში სულაც არ შემცირებულა მოსწავლეთა ინტერესი მის მიმართ, პირიქით უფრო და უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდა მასში მონაწილეობის სურვილი. მათ შორის არიან როგორც დაბალი, ასევე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები. მისდამი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ბავშვები გრძნობენ აბსოლიტურ თავისუფლებას და ამასთან, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარი ნააზრევის ხორცშესხმას, უვითარდებათ პრეზენტაციისა და თანატოლებთან კომუნიკაციის უნარი, რომელიც ამავდროულად უფრო განზოგადებულ სახეს იძენს და მომავალში თავისუფლად შეძლებენ საკუთარი პერსონის წარმოჩენას ფართო მასების წინაშე.

ალბათ, მისი ასეთი აქტუალურობა, სწორედ განსაკუთრებულმა ფორმატმა განაპირობა, რომელიც ყოველ სეზონზე გარკვეულწილად იხვეწება. გასულ კვირას კი, ის შემდეგი ინტერპრეტაციით წარედგინა მაყურებელს: ლოზუნგით „იყავი გამორჩეული" პროექტში გაერთიანდა სამი სხვადასხვა ასაკის მოსწავლე, მაგდა გიგოლაშვილი, ნინი სულაშვილი და მარიამ ტუხაშვილი, რომელთაც ერთი სფერო, ხელოვნება იზიდავთ. თითოეულმა მონაწილემ საუკეთესოდ წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები და დაამტკიცა, რომ საზოგადოების პირისპირ გამოსვლა დამაბრკოლებელ ფაქტორს სულაც არ წარმოადგენს. მე-9 კლასელმა მაგდამ მაყურებელს წაუკითხა რამდენიმე ლექსი, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მე-10 კლასელი ნინი მაყურებლის წინაშე იმ სიმღერებით წარსდგა, რომელიც ყოველ ჩვენგანს ძალიან უყვარს. მე-11 კლასელმა მარიამმა კი საკუთარი თხზულებები წაიკითხა და ამასთან, სიმღერაც შეუსრულა დამსწრე საზოგადოებას. სამივე მათგანს საკუთარი ფან-კლუბი უჭერდა მხარს და მხიარული ნომრებით ცდილობდა მათ გამხნევებას.

პროექტს არაჩვეულებრივად უძღვებოდნენ მე-11 კლასის მოსწავლეები, მარიამ გასანოვა და ელენე სულაშვილი. მათთან ერთად თითოეული მონაწილე აღნიშნავს, რომ სკოლის დირექციის დახმარების გარეშე ისინი ამ შედეგამდე ნამდვილად ვერ მივიდოდნენ და მათი თანადგომა რომ არა, პროექტი ასეთი შესანიშნავი ვერ გამოვიდოდა.

პროექტის საბოლოო სახეზე დაყვანაში უდიდესი როლი შეასრულა თავად პროექტის ავტორმა ნანა საყვარლიშვილმა. მან შეუძლებელი შეძლო და სულ რამდენიმე დღეში შექმნა „საზოგადოების პირისპირ"-ის მესამე ნაწილი, რომელმაც ასეთი დიდი აღფრთოვანება დაიმსახურა არამარტო სკოლის, არამედ რაიონის მასშტაბითაც.

პროექტს ესწრებოდა კალიფორნიიდან სამრეკლოს სკოლაში ჩამოსული მასწავლებელი, ემი მონტემაიორი, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთ არაჩვეულებრივ შედეგს მისი მეგობრებისაგან (ასე უწოდებს ის საკუთარ მოსწავლეებს) ნამდვილად ელოდა, რადგან დარწმუნებული იყო მათ ნიჭსა და შესაძლებლობებში.

დასასრულს კი, მინდა მოგიწოდოთ, რომ ეწვიოთ სოციალურ ქსელ ფეისბუქს და მოინახულოთ პროექტის გვერდი, რომელსაც არაერთი მომხმარებელი ჰყავს. იქ თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ სიახლეებს როგორც „საზოგადოების პირისპირ"-ის, ასევე სხვა საინტერესო ინფორმაციებს და ჩაერთოთ საზოგადოებრივ დისკუსიებში.

გიორგი ხოცოიანი

# 19 დეკემბერი-წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღე



ნიკოლოზობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება. 19 დეკემბერი — წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების, 22 მაისი კი — ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის წმიდა ნაწილების მირონიდან ბარში გადასვენების დღეა. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები წმიდა მღვდელთმთავარს შეწევნისათვის ყოველგვარი გასაჭირის ჟამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეავედრა. წმიდანი დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

ცხოვრება წმინდა ნიკოლოზისა ღვთაებრივი ნათლით იყო გაბრწყინებული. მის ლოცვასა და შემწეობას მრავალი ადამიანი უხსნია ხორციელი თუ სულიერი სიკვდილისაგან. მრავალი გადაურჩენია ზღვაში ჩანთქმისგან, მრავალიც განუკურნავს: ბრმათათვის თვალი აუხელია, კოჭლთათვის საღი ფეხი მიუცია, ყრუთათვის — სმენა, უტყვთათვის — მეტყველების მადლი. სიღატაკეში მყოფთათვის — ცხოვრების სახსარი, დამშეულთათვის — სასმელ—საჭმელი.

ქართველ ხალხში წმიდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე აგებული მრავალი ტაძარი არსებობს და ამ დღესასწაულს განსაკუთრებული სიხარულით ამ ტაძრის მრევლი აღნიშნავს ხოლმე. წმიდა ნიკოლოზის ხატის დაწერაც დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული ქართველი ხატმწერებისთვის. ამასთან, ნიკოლოზი საქართველოში ერთ—ერთი გავრცელებული სახელია და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ცდილობს, ღირსეულად ატაროს წმიდანის სახელი.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. როცა წმიდანი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, — განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისაგან. ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისგან. სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დას. ევროპისა და ჩრ. ამერიკის შობა-ახალწლის სიმბოლოდ — სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს. თუმცა, თანამედროვე ბავშვის ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად არ უკავშირდება წმიდა ნიკოლოზს.

მონატრება

## თამაზ (ბათია) ტუსაშვილი

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზაარავი არაფერია ამქვეყნად. გვაკლია შენი ღიმილი და სითბო. უამრავ მოგონებას, შენი ნახვის სურვილს და ზღვა ცრემლს ვატან ამ ბარათს.

ექვსი წელი, ექვსი გაუსაძლისი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო, პირიქით-ძლიერი მონატრებაა, უფრო გაღრმავდა გულისტკივილი და ნახვის მარადიული სურვილი. იმაზე მეტად ძვირფასი ყოფილხარ, ვიდრე გვეგონა. ყოველი დღე უფრო მტკივნეულია და გაუსაძლისი.

წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო სევდა. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები, ყველგან გვესმის შენი ფეხის ხმა. ჩემი თვალები ვერ გადაეჩვია შენს ლოდინს, ძვირფასო!

ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული, უზომო სულის ტკივილმა, უშენობამ ჩემო საყვარელო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო შვილო.ძალიან ენატრბი შენს ოჯახს:შენს ნონას, შვილს — ილიკოს, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, პატარა შვილიშვილი — სალომე, რომელიც მხოლოდ სურათებიდან გიცნობს, ყოველდღე ელოდება შენს დაბრუნებას. მალე თავისი პატარა ხელებით მოგიკრეფს ყვავილებს და დაგიწყობს საფლავზე, საიდანაც იცქირები გაყინული თვალებით.

ღმერთს სასუფეველში რჩეულები მიჰყავსო და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში შენი წასვლის შემდეგ დავრწმუნდი. წახვედი და თან გაიყოლე შენი ახალგაზრდული მიზნები.

რამდენი რამ დაგრჩა განუხორციელებელი. მზარავს წარსულზე საუბარი, ამიტომ გულმხურვალედ შევთხოვ უფალს, ნათელში გამყოფოს. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას. მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველში და ილოცე შენი შენი შვილის, რძლისა და შვილიშვილისთვის, მოხუცი მშობლებისთვის. შენ მათ გულებში სამუდამო ტკივილად დარჩი. იძინე მშვიდად, ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. შორიდან გეფერებით ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო — ჩვენო ბათია.

შენი ოჯახი.

## ელბერდ სამუკაშვილი



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, როცა საზარელი ამბავი გავიგეთ: „ჟონჟოლა“ მინდორში ვიღაც აზერბაიჯანელმა სასიკვდილოდ დაჭრაო. მკვლელმა, რომელიც შენ მხოლოდ ერთხელ ნახე სიცოცხლეში, და ისიც სიკვდილის წინ, საშინელი წამებით მოგიღო ბოლო, შემდეგ მინდორში მიგატოვა და დღემდე დაუსჯელად დაიარება ამ ქვეყნად.

როგორ ავიტანოთ ასეთი დამცირება. სამართალდამცავი ორგანოების გულგრილობამ უსამართლობის განცდა დაგვიტოვა. დღემდე შენი მკვლელი დაუსჯელია, რომელიც შორიდან გვიყურებს, ვინ იცის კიდევ რამდენ ოჯახს გაამწარებს ეს არაკაცი. ძმაო, ძალიან მძიმეა უშენობა. ყოველდღე მხოლოდ შენს სურათს დავტირით, შენს უბედურ ცხოვრებაზე და ტრაგიკულ სიკვდილზე ვყვებით. ასე იქნება ყოველთვის, სანამ უფალი არ ინებებს ჩემს მოსვლას თქვენთან; შენთან, დედასთან და მამასთან.

ილოცეთ აქ დარჩენილი თქვენი ახლობლებისთვის. ღმერთმა დაგიმკვიდროს სამარადისო სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი და ზეინაბი, ძმები კაკო და ელგუჯა სამუკაშვილები და ახლობლები.

## ვაჟა იაკობიშვილი



20 წლის წინ 20 დეკემბერს, 22 წლისამ დაგვტოვე სამუდამოდ, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო და სიცოცხლით გაუმაძღარო ძმაო! ჯანმრთელი და საღ-სალამათი დილით სამსახურში წახვედი, მაგრამ ვაი, რომ საღამოს ცოცხალი ვეღარ დაბრუნდი. სიმართლე დღესაც არ ვიცით. ვერ გავიგეთ რა შეგემთხვა, ან ვინ რა გიმტრო. მამაც ადრე, 31 წლის ასაკში გარდაიცვალა და სამი პატარა ობოლი დავრჩით დედას გასაზრდელად. შენ წლინახევრის იყავი, ნაბოლარა... ობლობის დიდმა ტკივილმა ღრმა კვალი დაამჩნია შენს ცხოვრებას. ვეღარ გამოცხვა შენი კვერიც. იქნებ ღვთისგან გამორჩეულობის დასტური იყო შენი ნაადრევი წასვლა ამ ქვეყნიდან. ალბათ ასეა, თორემ შენისთანა ღვთისნიერ ბიჭს ღმერთი სასიკვდილოდ როგორ გაიმეტებდა.

სიღარიბეში გავიზარდეთ, ერთმანეთის სიყვარულით, დედამ შრომისმოყვარეობა, პატიოსნება და ზრდილობა გვასწავლა. კარგი დედ-მამის შვილმა ხალხშიც კარგი სახელი დაიმსახურე. დურგლად მუშაობდი და ბევრ მადლობასაც იმსახურებდი. თითქოს გული გიგრძნობდა, რომ მოკლე სიცოცხლე გეწერა. იტყოდი ხოლმე: მეც მამაჩემივით კარგი სახელი უნდა დავტოვოო. გაჭირვების დროს გვერდით გვედექი. გვეამაყება, რომ ასეთი იყავი.

გაუსაძლისია ის ტკივილი, რასაც შენი მონატრება ჰქვია. დედა სულ გაუბედურდა, მხედველობა დაკარგა და ლოგინად ჩავარდა. შენი და-ძმა კი ფრთამოტეხილი დავრჩით. ჩვენთვის მარად ცოცხალო, მარად 22 წლის ვაჟკაცო, ძმაო ვაჟა, ცხოვრება სასტიკია. სანამ ცოცხლები ვიქნებით, იარად დარჩები, რომელსაც მოშუშება არ უწერია. ყოველ შენს გახსენებაზე გული გვესერება და უმწეობისგან ვტირით, რადგან უძლურები ვართ, რამე შევცვალოთ. ისღა დაგვრჩენია, უფალს შევავედროთ შენი ლმაზი სულის მარადიულ სასუფეველში დამკვიდრება.

*უსაზღვრო მონატრებით შენი და-ძმა*
ნინო და გოჩა იაკობიშვილები..

გამოსათხოვარი

## ელიკო თანდილაშვილი

დედოფლისწაროს პედაგოგიურ ოჯახს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა. ელიკო თანდილაშვილი 1941 წელს დაიბადა სოფელ ზემო ქედში, მშობლიური სოფლის სიყვარულმა ის უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ კვლავ სოფელში დააბრუნა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბევრი თაობა აღზარდა, ბევრი აზიარა მშობლიური ენის მადლს და შეაყვარა ქართული ლიტერატურა. პედაგოგიურ მოღვაწეობათან ერთად ის ზემო ქედის სკოლის დირექტორიც იყო 21 წლის განმავლობაში. თვითონ კარგ ორგანიზატორს არც ის გასჭირვებია, რომ სკოლაში ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ მუშაობა პედაგოგის რანგში განეგრძო და გვერდში ამოსდგომოდა ახალ დირექტორს.

კარგი ადამიანისა და კარგი თანამშრომლის პირადი ტრაგედიაც ყველამ გაიზიარა და მისი 21 წლის ქალიშვილის უდროო სიკვდილიც სწორედ სამსახურმა გადაატანინა. მას ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი დარჩა, მისი ღვაწლის ღირსეული გაგრძელება.

გეთხოვებით, ელიკო მასწავლებელო, ღმერთს ვთხოვთ, სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს სულს.

ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

# კონკურსზე გრანპრის მფლობელმა ნათია ნატროშვილმა სოლო კონცერტი გამართა

9 დეკემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში კლასიკური მუსიკის III ეროვნული კონკურსის გახსნის ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ხელოვნების აკადემია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადგომით ახორციელებს.

მასში დედოფლისწყაროელი ნათია ნატროშვილიც მონაწილეობდა, რომელმაც მაყურებლის მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. III ეროვნული კონკურსის გახსნის ცერემონიალი სწორედ გასული წლის კონკურსის გრან-პრის მფლობელის ნათია ნატროშვილის სოლო-კონცერტით დასრულდა.

ღონისძიება გახსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორმა იამზე გვათუამ.

კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს ყველა რეგიონის სამუსიკო სასწავლებლების II-დან XII კლასის ჩათვლით მოსწავლეები — საფორტეპიანო, სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალობებით.

ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ ხელოვნების აკადემიის რექტორი ვალერიან შიუკაშვილი, ჟიურის წევრები კი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მევიოლინე ირინე იაშვილი და დირიჟორი დავით მუქერია.

საკონკურსო მოსმენები 10 დეკემბრიდან დაიწყო, ლაურეატთა დაჯილდოვება და კლასიკური მუსიკის III ეროვნული კონკურსის დახურვა კი 16 დეკემბერს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართება.

ილია მარტყოფლიშვილი

# ტრენინგი ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად

5 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა სამოქალაქო-საინიციატივო ჯგუფის მიერ ტრენინგი „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს IX, X და XII კლასის მოსწავლეებმა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მარიკა პოპიაშვილის ორგანიზატორობით.

ბავშვებს ჰქონდათ წარმოდგენილი თავისი ხელით შექმნილი პლაკატები წარწერით: „ნუ იქნები შემდეგი“, რითაც გმობდნენ ისეთ დაავადებას, როგორიც არის ნარკომანია და მეორე პლაკატი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, სადაც ჩამოთვლილი ჰქონდათ ისეთი უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის.

მოსწავლეებს პლაკატებთან ერთად თემასთან დაკავშირებით მომზადებული ჰქონდათ სტატიები. სიღრმისეული ინფორმაცია კი მიაწოდა სპეციალურად მოწვეულმა ექიმმა ლალი ალადაშვილმა, რის შემდეგ ბავშვების მხრიდან მოჰყვა უამრავი კითხვის დასმა და გაიმართა დისკუსია მათ შორის.

ამავე ტრენინგზე დასახეს სხვა სახის გეგმები სამომავლოდ ტრენინგების ჩატარების თაობაზე. ლალი ალადაშვილი მათ მათთვის სასურველ თემაზე ინფორმაციის მოძიებაში დახმარებას დაპირდა.

აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის მხარდაჭერით, რომლის მიზანია გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და გააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

ლევან შაიშმელაშვილი

## ულოცავენ!

**ლალი ბასილაშვილს**

**მევლუდ გიგოლაშვილს**

გილოცავთ მესამე შვილიშვილის, პატარა ანდრიას დაბადებას. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ პატარა ვაჟკაცს. მის მშობლებს - თაკოს და ავთოს კი აკვანთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმების თანამშრომლები.

## ყურადღება!

სპორტული და ბავშვთა გასართობი ცენტრი „ლაბირინთი“ გიწვევთ საახალწლო ნაძვის ხის კარნავალზე. კარნავალი გაიმართება ***25 დეკემბრიდან 19 იანვრამდე ყოველდღე დღის 12 საათზე.***

კარნავალის გარდა, ბავშვებს შეეძლებათ გასართობ ცენტრში არსებული სხვა საშუალებებით გაერთონ და კარაოკეს თანხლებით შეასრულონ სიმღერები და ცეკვები.

მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: 599 23 35 82; 599 90 25 82

# დინოზავრების ნაკვალევზე...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეოთხე კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე ,,პატარა დინოზავრი“

პედაგოგ ირმა გარსენიშვილის განმარტებით, ბავშვებს წინასწარ ჰქონდათ მიცემული დავალება მოეძიებინათ ინფორმაციები დინოზავრების შესახებ. გაკვეთილზე შეიქმნა ოთხი ჯგუფი, თითოეულმა ჯგუფმა მოამზადა პრეზენტაციები: ეპოქა და ნამარხები, ხორცისმჭამელები, ბალახისმჭამელები, გადაშენება.

მოგვიანებით მოამზადეს მაკეტი და მოაწყეს სპეციალური გამოფენა ,,ჩვენი თვალით დანახული დინოზავრები“.

ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეები პროცესს ყურადღებით ეკიდებოდნენ და თემის მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავდნენ.

როგორც სკოლის ადმინისტრაციაში განმარტავენ, მსგავსი სახის ღონისძიებები მომავალშიც ინტენსიურად გაიმართება და პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

## სპორტი

### სამბო

ბულგარეთში ჩატარდა მსოფლიოს პირველობა ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო სოფელ არბოშიკის მკვიდრმა ლევან კირკიტაშვილმა. ლევანმა დიდი აღმავლობით ჩაატარა მსოფლიოს პირველობა და 65კგ-ში მოიპოვა მეორე ადგილი. მწვრთნელი საქართველის სპორტის დამსახურებული მუშაკი ვაჟა მოსულიშვილი.

## ამინდი

**დედოფლისწყარო**

| შაბათი 15. 12 | | კვირა 16. 12 | | ორშაბათი 17. 12 | | სამშაბათი 18. 12 | | ოთხშაბათი 19. 12 | | ხუთშაბათი 20. 12 | | პარასკევი 21. 12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| -3 ° | -5 ° | -5 ° | -6 ° | -7 ° | -8 ° | -7 ° | -6 ° | -5 ° | -2 ° | -1 ° | -1° | 0 ° | -2 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K